საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარაოსებრი პალმა

მარაოსებრი პალმა (Trachycarpus), პალმების გვარი არეკასებრთა ოჯახისა. მათი ღეროს სიმაღლე 20 მ, სისქე 20 სმ აღწევს, დაფარულია ყავისფერი ბოჭკოებით და ფოთლის ნაჭდევებით. მარაოსებრი ფოთლები ჯგუფ-ჯგუფად (როზეტად) სხედან ღეროს წვერზე. ფოთლის ფირფიტის სიგრძეა დაახლ. 70 სმ, ყვავილედისა – 1 მ. რვა სახეობა, რ-ებიც იზრდება სამხრ.-აღმ. აზიასა და ჰიმალაის მთებში, კულტივირებულია მრავალ სუბტროპ. ქვეყანაში, კავკასიაში, მ. შ. საქართვ. შავი ზღვის სანაპიროზე, თბილისში.